კვლევის ძირითადი მიზნები:

- საქართველოს საჯარო დაწესებულებების გამჭვირვალობის ხარისხის ამაღლება;
- ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ხელშეწყობა;
- საქართველოში ინფორმაციის თავისუფლებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებების ინიცირება;
- საქართველოში ელექტრონული მმართველობისა და ელექტრონული გამჭვირვალობის განვითარება.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი ოფიციალური ვებ-გვერდის (www.rustaveli.org.ge) საინფორმაციო გამჭვირვალობისა და ელექტრონული მმართველობის შეფასებითი მონიტორინგი

2011 წლის 02 სექტემბერი

ყველა უფლება დაცულია

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

ა. მაჭავარიანის ქ. №4, ბინა1. 0179. საქართველო, თბილისი.

Tel: +995322 996364.

www.idfi.ge / www.opendata.ge

info@idfi.ge

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი

www.rustaveli.org.ge

გამოვლენილი ძირითადი ხარვეზები და რეკომენდაციები




ინფორმაციის არსებობა ვებ-გვერდზე
წარმოდგენილი ინფორმაციის ხარისხი
1. ზოგადი ინფორმაცია საჯარო დაწესებულების შესახებ
68,18%
64,17%
2. საჯარო დაწესებულების სისტემა/სტრუქტურა
53,85%
50,79%
3. მონაცემები საჯარო დაწესებულების საინფორმაციო რესურსების შესახებ
80,00%
31,88%
4. ძირითადი კომპეტენციის სფეროში საჯარო დაწესებულების საქმიანობის შესახებ ცნობები
44,44%
31,63%
5. სამართლებრივი აქტები და საჯარო დაწესებულების ნორმაშემოქმედებითი საქმიანობა
22,73%
36,50%
6. საჯარო დაწესებულების საქმიანობის წესი, რომელიც მიზნად ისახავს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა უფლებების, თავისუფლებებისა და კანონიერი ინტერესების უზრუნველყოფას
14,29%
43,75%
7. ს-დ საქმიანობის ფარგლებში მიმდინარე სახელმწიფო შესყიდვების, სახელმწიფო ქონების პრივატიზების, ხელშეკრულებების გაფორმების შესახებ ცნობები
0,00%
0,00%
8. საჯარო დაწესებულების საკადრო უზრუნველყოფა
0,00%
0,00%
9. საჯარო დაწესებულების დაფინანსება და ხარჯთაღრიცხვა (ბიუჯეტი)
14,29%
40,00%
0,00%
20,00%
40,00%
60,00%
80,00%
100,00%

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამსახურის ვებ-გვერდზე არ მოიძიება:

- **ზოგადი ინფორმაცია საჯარო დაწესებულების შესახებ**

1. ვებ-გვერდზე არ მოიძიება ფონდის გენერალური დირექტორის ფოტოსურათი, ვრცელი ბიოგრაფიული მონაცემები, კომპეტენციის აღწერა. აგრეთვე, არ მოიძიება გენერალური დირექტორის ფაქსის ნომერი:

გენერალური დირექტორი	სულხან სისაური	sisauri@rustaveli.org.ge	2 33 45 95

2. ვებ-გვერდზე არ მოიძიება ფონდის გენერალური დირექტორის მოადგილეების ფოტოსურათები, ვრცელი ბიოგრაფიული მონაცემები, კომპეტენციისა და საკურატორო სფეროების აღწერა. აგრეთვე, არ მოიძიება მოადგილეების ფაქსის ნომრები:

დირექტორის მოადგილე	თინათინ ბოჭორიშვილი	bochorishvili@rustaveli.org.ge	2 33 42 64
დირექტორის მოადგილე	მარიამ გერსამია	mariam@rustaveli.org.ge	2 33 40 95
დირექტორის მოადგილე	კარლო ლაფერაძე	karlo@rustaveli.org.ge	2 33 51 03

ფონდის დირექტორისა და მისი მოადგილეების საკონტაქტო რეკვიზიტები მოიძიება მხოლოდ ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში „ფონდის შესახებ“ არსებულ ქვე-განყოფილებაში „სტრუქტურა/თანამშრომლები“, სასურველია აღნიშნული ინფორმაცია ასევე, განთავსდეს ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში „საკონტაქტო ინფორმაცია“:

საკონტაქტო ინფორმაცია

მისამართი: ქ. თბილისი, ალექსიძის №1, III სართ.

ელ.ფოსტა: info@rustaveli.org.ge

ტელეფონი: 2 33 53 07

3. ფონდის სრული დასახელება არის „საჯარო სამართლის იურიდიული პირი - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი“, ვებ-გვერდზე არ არის მოცემული სიზუსტით ზემოთხსენებული დასახელება:

ამასთან, არ მოიძიება ვებ-გვერდის ოფიციალურობის დამადასტურებელი წერილობითი აღნიშვნა, ფონდის საფოსტო მისამართი (საფოსტო ინდექსზე მითითებით), ფაქსის ნომერი და ფონდის შენობის მდებარეობის აღმნიშვნელი რუკა.

4. ვებ-გვერდზე წარმოდგენილ ფონდის სრულ სარეკვიზიტო ცნობარს აკლია სტრუქტურული ქვედანაყოფების ფაქსის ნომრები:

სტრუქტურა/ თანამშრომლები

თანამდებობა	სახელი /გვარი	ელ-ფოსტა	ტელეფონი
ადმინისტრაცია			
გენერალური დირექტორი	სულხან სისაური	sisauri@rustaveli.org.ge	2 33 45 95
დირექტორის მოადგილე	თინათინ ბოჭორიშვილი	bochorishvili@rustaveli.org.ge	2 33 42 64
დირექტორის მოადგილე	მარიამ გერსამია	mariam@rustaveli.org.ge	2 33 40 95
დირექტორის მოადგილე	კარლო ლაფერაძე	karlo@rustaveli.org.ge	2 33 51 03
თანაშემწე	ლალი კვარაცხელია	kvaracxelia@rustaveli.org.ge	2 33 29 65
ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტი			
დეპარტამენტის უფროსი	ეკატერინე ბუთლიაშვილი	ekaterine@rustaveli.org.ge	2 33 35 12
დეპარტამენტის უფროსის მოადგილე	მარიამ იაშვილი	iashvili-mariam@rustaveli.org.ge	2 33 38 19
დეპარტამენტის უფროსის მოადგილე	ეკატერინე ვაჩნაძე	evachnadze@rustaveli.org.ge	2 33 38 19
მთავარი სპეციალისტი	ეკა წურწუმია	eka@rustaveli.org.ge	2 33 38 19
მთავარი სპეციალისტი	მანანა დათუაშვილი	datuashvili@rustaveli.org.ge	2 33 53 07
მთავარი სპეციალისტი	მაკა ბეჟიტაშვილი	bejitashvili@rustaveli.org.ge	2 33 53 07
მთავარი სპეციალისტი	თამარ გორგოძე	gorgodze@rustaveli.org.ge	2 33 38 19
მთავარი სპეციალისტი	ნათია იაშვილი	iashvili-natia@rustaveli.org.ge	2 33 38 19
მთავარი სპეციალისტი	დავით ხვედელიძე	khvedelidze@rustaveli.org.ge	2 33 38 19
ფინანსური და მატერიალური რესურსების დეპარტამენტი			
დეპარტამენტის უფროსი	მალხაზ ხოფერია	mkhoperia@rustaveli.org.ge	2 33 36 03
დეპარტამენტის უფროსის მოადგილე	დავით ბარაბაძე	barabadze@rustaveli.org.ge	2 33 45 79
დეპარტამენტის უფროსის მოადგილე	ტიტე რუხაძე	rukhadze@rustaveli.org.ge	2 33 45 79
მთავარი სპეციალისტი	ლელა ღუდუშაური	gudushauri@rustaveli.org.ge	2 33 45 79
მთავარი სპეციალისტი	თეონა ირემაშვილი	iremashvili@rustaveli.org.ge	2 33 45 79
მთავარი სპეციალისტი	ზურაბ პაპუაშვილი	papuashvili@raustaveli.org.ge	2 33 49 05

4. ვებ-გვერდზე არ მოიძიება ფონდის მიერ ფიზიკური და იურიდიული პირების მიღების და მათთან მუშაობის გრაფიკი.

5. ვებ-გვერდზე მოცემულია ფონდის საკონტაქტო ტელეფონის ნომერი, თუმცა სასურველია აქვე არსებობდეს მითითება იმაზე, რომ მოცემული ნომერი წარმოადგენს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ტელეფონის ნომერს:



6. ვებ-გვერდზე მართალია მოცემულია შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ზემდგომი (მაკონტროლებელი) ორგანოს, კერძოდ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ლოგოტიპი, თუმცა სასურველია აქვე მოცემული იყოს შესაბამისი ტექსტური აღნიშვნაც:

7. ვებ-გვერდზე არ არის მოცემული შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნების თარიღიდან მოყოლებული დეტალური საქმიანობის ისტორია, აღნიშნული ინფორმაცია მხოლოდ ორი წინადადებით არის წარმოდგენილი ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში „ფონდის შესახებ“ არსებულ ქვე-განყოფილებაში „ფონდის საქმიანობა“. სასურველია ზემოაღნიშნული ინფორმაცია განთავსდეს ვებ-გვერდზე შესაქმნელ (ქვე-) განყოფილებაში სათაურად, „ისტორია“:



- **საჯარო დაწესებულების სისტემა/სტრუქტურა**

8. ვებ-გვერდზე არ მოიძიება შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის სტრუქტურის შესახებ შემდეგი სახის ინფორმაცია, კერძოდ:

- არ მოიძიება სტრუქტურის სქემატური (სტრუქტურული ხე) ან ინფორმაციული აღწერა;
- არ მოიძიება სტრუქტურული ქვედანაყოფების კომპეტენციების აღწერა;
- არ მოიძიება სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელების ფოტოსურათები, ვრცელი ბიოგრაფიული მონაცემები, კომპეტენციის აღწერა, ხოლო ვებ-გვერდზე წარმოდგენილ მათ საკონტაქტო რეკვიზიტებს აკლია ფაქსის ნომრები;
- არ მოიძიება სტრუქტურული ქვედანაყოფების ელექტრონული ფოსტის მისამართები და საკონტაქტო ტელეფონის ნომრები.

9. ვებ-გვერდზე არ მოიძიება ფონდის სათათბირო ორგანოს შესახებ შემდეგი სახის ინფორმაცია:

- არ მოძიება ფონდის სათათბირო ორგანოს - სამეცნიერო საბჭოს ხელმძღვანელების ფოტოსურათები, ვრცელი ბიოგრაფიული მონაცემები:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N714[1] 2010 წლის 16 სექტემბრის ბრძანების თანახმად დამტკიცდა საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო საბჭოს შემადგენლობა

- **საქართველოს მთავრობის კვოტით:**

დიმიტრი შაშკინი	-	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი
ნოდარ სურგულაძე	-	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე
ვახტანგ ლეკავა	-	საქართველოს პრემიერ-მინისტრის მთავარი მრჩეველი
გიორგი ყიფიანი	-	საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის მოადგილე.
ბაჩანა შენგელია	-	საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სამართლებრივი უზრუნველყოფის, რეგისტრაციისა და ნოტარიატის დეპარტამენტის უფროსი

- **სსიპ საქართველოს მეცნიერე¬ბათა ეროვნული აკადემიისა და საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის კვოტით:**

ფრიდონ თოდუა	-	სსიპ – საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოსი
გურამ თევზაძე	-	სსიპ – საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოსი
არჩილ ფრანგიშვილი	-	სსიპ – საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი
ზურაბ ქომეთიანი	-	სსიპ – საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ–კორესპონდენტი

- არ მოიძიება ფონდის სათათბირო ორგანოს - სამეცნიერო საბჭოს სტრუქტურა;

- არ მოიძიება ფონდის სათათბირო ორგანოს - სამეცნიერო საბჭოს სხდომების ოქმები (საოქმო ჩანაწერები).

ფონდის სათათბირო ორგანოს - სამეცნიერო საბჭოს სხდომებზე მიღებული გადაწყვეტილებები (ინფორმაციული ხასიათის ცნობები) მიმოფანტულია ვებ-გვერდზე წარმოდგენილ ფონდის საქმიანობის შესახებ საინფორმაციო ხასიათის მიმოხილვებში - „ახალ ამბებში“ :

ახალი ამბები

2010-12-10

ფონდი ელექტრონული სამეცნიერო ჟურნალების და ქართული ელექტრონული ლექსიკონების შექმნას დააფინანსებს

შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო საბჭომ ეს გადაწყვეტილება დღეს რიგით მეორე სხდომაზე მიიღო.

კონკურსის **„2010 წლის საგრანტო კონკურსი ელექტრონული სამეცნიერო ჟურნალების შესაქმნელად"** ფარგლებში წარმოდგენილი 17 განაცხადიდან უმაღლესი შეფასება მიიღო პროექტმა: "ქართველოლოგი". წამყვანი ორგანიზაციაა: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სამეცნიერო ხელმძღვანელია - პროფ. **ელგუჯა ხინთიბიძე**;

კონკურსის **„2010 წლის საგრანტო კონკურსი ქართული ელექტრონული ლექსიკონების შესაქმნელად"** კონკურსის ფარგლებში წარმოდგენილი 37 განაცხადიდან უმაღლესი შეფასება მიიღო პროექტმა: ქართული სალიტერატურო ენის განმარტებითი ლექსიკონი (ელექტრონული ვერსია). წამყვანი ორგანიზაციაა: არნოლდ ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტი, სამეცნიერო ხელმძღვანელია - პროფ. **რატი სხირტლაძე**

სხდომაზე დამტკიცდა, აგრეთვე, გამარჯვებული პროექტი საგრანტო კონკურსში **„საერთაშორისო კვლევითი ჯგუფის "დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები სამხრეთ კავკასიაში" შემადგენლობაში ქართველ მეცნიერთა ჩართვა".**
პროექტის წამყვანი ორგანიზაციაა მ. ნოდიას გეოფიზიკის ინსტიტუტი, სამეცნიერო ხელმძღვანელია - პროფ. **შოთა ადამია.**

საბჭომ იმსჯელა ახალი კონკურსების გამოცხადებაზე და გადაწყვიტა:

1. გამოცხადდეს საგრანტო კონკურსი **სასწავლო შემეცნებითი კომპიუტერული პროგრამების შესაქმნელად**. საგრანტო კონკურსის მიზანია სასწავლო-შემეცნებითი კომპიუტერული პროგრამების შექმნის ფინანსური უზრუნველყოფა და მის ფარგლებში ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისათვის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნის შესაბამისი კომპიუტერული პროგრამების შექმნა.
2. გამოცხადდეს **მოკლევადიანი ინდივიდუალური სამოგზაურო სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსი**. აღნიშნული საგრანტო კონკურსის მიზანია ხელი შეუწყოს საქართველოს მეცნიერების მონაწილეობას საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებში, რათა ინფორმაციის გაცვლისა და გამოცდილების გაზიარების შედეგად გაამლიეროს ადგილობრივი სამეცნიერო პოტენციალი და ხელი შეუწყოს საქართველოს მეცნიერების საერთაშორისო სამეცნიერო სფეროში ინტეგრაციას.

სასურველია ზემოაღნიშნული ინფორმაცა განთავსდეს ვებ-გვერდზე არსებულ ქვე-განყოფილებაში სათაურად - „სამეცნიერო საბჭო“.

- **მონაცემები საჯარო დაწესებულების საინფორმაციო რესურსების შესახებ**

10. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ვებ-გვერდზე არ არის მოცემული შემდეგი სახის მნიშვნელოვანი მონაცემთა ბაზები: არ არსებობს ვაკანსიათა და ტენდერების არქივი, საერთაშორისო და ადმინისტრაციული ხელშეკრულებები, სტატისტიკური მონაცემები, პროგრამები/პროექტები, ფინანსური ხასიათის მაჩვენებლები *და ა.შ.*

ამასთან, ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში „ფონდის შესახებ“ არსებული ქვე-განყოფილება „ფონდის მისია'' ცარიელია:



ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში „მონიტორინგი“ არსებული ქვე-განყოფილება „დასრულებული პროექტების ანალიზი“ ცარიელია:

ცარიელია ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში „ჩვენი გრანტიორები“ არსებული ქვე-განყოფილება „პროექტების ანგარიშები“:



ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში „შეფასება“ ასრებული ქვე-განყოფილებები, სათაურად „შეფასების კრიტერიუმები“ და „დაფინანსებული პროექტების შეფასება“ ცარიელია:

ცარიელია ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში „პრესცენტრი„ არსებული ქვე-განყოფილება, სათაურად „დაგეგმილი ღონისძიებები“:



ცარიელია ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში „საერთაშორისო პარტნიორობა“ არსებული ქვე-განყოფილებები, სათაურად „მიმდინარე კონკურსები“ და „ქართველი მეცნიერები საზღვარგარეთ“ :





ცარიელია აგრეთვე ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში „ახალი ამბები“ არსებული ქვე-განყოფილება, სათაურად „ექსპერტებისთვის“:



- **ძირითადი კომპეტენციის სფეროში საჯარო დაწესებულების საქმიანობის შესახებ ცნობები**

11. ვებ-გვერდზე არ მოიძიება შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ხელმძღვანელ პირთა მიმდინარე საქმიანობის შესახებ შემდეგი სახის ცნობები. კერძოდ:

- არ მოიძიება ფონდის გენერალური დირექტორის ოფიციალური/სამუშაო ვიზიტების შესახებ ცნობები;

- არ მოიძიება ფონდის გენერალური დირექტორის მოადგილეების გამოსვლების, განცხადებების, ბრიფინგების ტექსტები, ცნობები მათი ოფიციალური/სამუშაო ვიზიტების შესახებ, აგრეთვე, ცნობები მათი მონაწილეობის შესახებ ამა თუ იმ ღონისძიებებში.

12. ვებ-გვერდზე არ არსებობს (ქვე-)განყოფილება „სტატისტიკა“, სადაც განთავსდებოდა ფონდის მიერ შეგროვებული და დამუშავებული ოფიციალური სტატისტიკური ინფორმაცია და მონაცემები იმ ძირითადი მაჩვენებლების შესახებ, რომლებიც ასახავენ ფონდის საქმიანობის ძირითად სფეროებში არსებულ სიტუაციასა და მათ განვითარების დინამიკას. სტატისტიკური მონაცემები მიმოფანტულია ფონდის საქმიანობის ამსახველ წლიურ აგარიშებში.

13. ფონდის საქმიანობის ამსახველი წლიური ანგარიშები და საინფორმაციო ბიულეტელები მიმოფანტულია ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში, სათაურად „ჩვენი პუბლიკაციები“ და განყოფილებაში „პრესცენტრი“ არსებულ ქვე-განყოფილებაში სათაურად „საინფორმაციო ბიულეტენი“. სასურველია, რომ ზემოაღნიშნული ინფორმაცია რომელიც მიმოფანტულია ვებ-გვერდზე სხვადასხვა ქვე-განყოფილებებში ერთიანად იყოს წარმოდგენილი შესაბამის (ქვე)განყოფილებაში სათაურად „წლიური ანგარიშები“ :

ჩვენი პუბლიკაციები

2010-11-05
ქართველოლოგიის, ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების ფონდის 2009–2010 წლის წლიური ანგარიში
>>>

2009-08-19
საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის 2009 წლის წლიური ანგარიში
>>>

2009-07-20
სახელმწიფო სამეცნიერო გრანტები 2009. სახელმძღვანელო ცნობარი
>>>

2008-11-05
ქართველოლოგიის, ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების ფონდის 2007–2008 წლის წლიური ანგარიში
>>>

2008-08-18
საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის 2008 წლის წლიური ანგარიში
>>>

2007-08-18
საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის 2007 წლის წლიური ანგარიში
>>>



14. ვებ-გვერდზე არ არსებობს განყოფილება „პროგრამები/პროექტები“, სადაც მოყვანილი იქნებოდა იმ პროგრამების/პროექტების ჩამონათვალი და მათ შესრულების შესახებ (წლიური) მოხსენებები, რომელთა დამკვეთს, შემსრულებელს ან რეალიზაციაში რაიმე სახით მონაწილე მხარეს წარმოადგენს ფონდი. აგრეთვე, სასურველია მოიძიებოდეს ცნობები იმ პროგრამების/პროექტების ფარგლებში მიმდინარე ღონისძიებების შესახებ, რომელთა რეალიზაციაში მონაწილე მხარეს წარმოადგენს ფონდი.

15. სასურველია ვებ-გვერდზე შეიქმნას (ქვე-)განყოფილება „პარტნიორობა საქართველოს ორგანიზაციებთან“, სადაც მოყვანილი იქნება პარტნიორობის შესაბამისი ტექსტური ინფორმაციული აღწერა და ასევე, ფონდის პარტნიორ ორგანიზაციათა ვებ-გვერდების ბმულები.

16. სასურველია ვებ-გვერდზე არსებობდეს (ქვე-)განყოფილება „ტენდერები“, სადაც განთავსდებოდა ფონდის მიერ განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვებისა და სახელმწიფო ქონების პრივატიზების (ელექტრონული/საჯარო აუქციონების, პირდაპირი მიყიდვის, სხვა გზით) შესახებ ინფორმაცია.

- **სამართლებრივი აქტები და საჯარო დაწესებულების ნორმაშემოქმედებითი საქმიანობა**

17. ვებ-გვერდზე არსებულ ქვე-განყოფილებაში „კანონმდებლობა“ განთავსებული რამოდენიმე სამართლებრივი აქტი მოცემულია ძველი მდგომარეობით. ამასთან, აქვე განთავსებული სამართლებრივი აქტების რიგით მეოთხე და მეხუთე ბმული არ იხსნება:

კანონმდებლობა

საქართველოს კანონი მეცნიერების, ტექნოლოგიების და მათი განვითარების შესახებ >>>

საქართველოს კანონი საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის შესახებ >>>

საქართველოს კანონი გრანტების შესახებ >>>

საქართველოს სამეცნიერო-ტექნიკური სექტორის საერთაშორისო სამეცნიერო ტექნიკურ ცენტრთან და მეცნიერებისა და ტექნოლოგიების ცენტრთან უკრაინაში თანამშრომლობისათვის მუდმივმოქმედი საექსპერტო-საკოორდინაციო საბჭოს შექმნის შესახებ >>>

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ >>>

საქართველოს მთავრობის დადგენილება N 171 2010 წლის 23 ივნისი ქ. თბილისი სასწავლო-შემეცნებითი კომპიუტერული პროგრამების გრანტის გაცემის წესის შესახებ >>>

საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება № 121 2010 წლის 19 თებერვალი ქ. თბილისი ახალგაზრდა მეცნიერთათვის პრეზიდენტის სამეცნიერო გრანტების გაცემის შესახებ >>>

წარმოდგენილ სამართლებრივ აქტებს შორის ფონდის საქმიანობის (მმართველობის) სფეროსთან დაკავშირებული პრეზიდენტის მხოლოდ ერთი აქტი მოიძიება. ფონდის საქმიანობის სფეროსთან დაკავშირებული საქართველოს მინისტრისა და ფონდის გენერალური დირექტორის ინდივიდიუალურ ადმინსიტრაციულ-სამართლებრივი აქტები მიმოფანტულია ვებ-გვერდზე წარმოდგენილ ფონდის საქმიანობის საინფორმაციო ხასიათის მიმოხილვებში - „ახალი ამბები“. სასურველია ვებ-გვერდზე არსებულ ქვე-განყოფილებაში „კანონმდებლობა“ განთავსდეს ასევე, ფონდის საქმიანობის (მმართველობის) სფეროსთან დაკავშირებული საქართველოს მინისტრისა და ფონდის გენერალური დირექტორის ინდივიდიუალურ ადმინსიტრაციულ-სამართლებრივი აქტები და სამართლებრივი აქტების პროექტები.

ვებ-გვერდზე აგრეთვე არ მოიძიება ფონდის წესდება და შინაგანაწესი. აღნიშნული სამართლებრივი აქტები სასურველია მოიძიებოდეს შესაბამის განცალკევებულ (ქვე-) განყოფილებაში.

სასურველია აღნიშნულ ქვე-განყოფილებაში აგრეთვე მოიძიებოდეს შემდეგი სამართლებრივი აქტებიც:

- საქართველოს კონსტიტუცია;
- საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი;

- საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები;
- საქართველოს მთავრობის 2004 წლის 21 მაისის N37 დადგენილება „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“;
- საქართველოს კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ“;

- **საჯარო დაწესებულების საქმიანობის წესი, რომელიც მიზნად ისახავს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა უფლებების, თავისუფლებებისა და კანონიერი ინტერესების უზრუნველყოფას**

18. ვებ-გვერდზე არ მოიძიება ფიზიკურ და იურიდიულ პირთა მიმართვათა მიმოხილვა.

19. ვებ-გვერდზე არ არსებობს საჯარო ინფორმაციასთან დაკავშირებული განცალკევებული განყოფილება. არ მოიძიება საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურის ვინაობის (სახელი და გვარი), თანამდებობისა და საკონტაქტო რეკვიზიტების შესახებ ინფორმაცია, საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებათა გასაჩივრების შესახებ ცნობები და ფონდში შესული საჯარო ინფორმაციის გაცემასა და გაცემის მოთხოვნაზე უარის თქმის თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებათა რაოდენობის შესახებ ინფორმაცია. აგრეთვე ვებ-გვერდზე არ არის წარმოდგენილი ადმინისტრაციული საჩივრისა და საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის ჩამოსატვირთი ფორმები/ნიმუშები.

- **საჯარო დაწესებულების საქმიანობის ფარგლებში მიმდინარე სახელმწიფო შესყიდვების, სახელმწიფო ქონების პრივატიზების, ხელშეკრულებების გაფორმების შესახებ ცნობები**

20. ვებ-გვერდზე არ მოიძიება ადმინისტრაციულ ხელშეკრულებათა ბლოკი/განყოფილება, სადაც მოყვანილი იქნებოდა ფონდსა და ფიზიკურ/იურიდიულ პირებს შორის, ფონდსა და სხვა საჯარო დაწესებულებას შორის გაფორმებულ ადმინისტრაციულ (სამოქალაქო/სამართლებრივ) ხელშეკრულებათა ჩამონათვალი და პირობები.

21. ვებ-გვერდზე არ არსებობს (ქვე-)განყოფილება „ტენდერები“, სადაც განთავსდებოდა ფონდის მიერ განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვებისა (გამოცხადებული ტენდერები, კონკურსები და სხვა სახის სახელმწიფო შესყიდვები) და განხორციელებული სახელმწიფო ქონების პრივატიზების (ელექტრონული/საჯარო აუქციონების, პირდაპირი მიყიდვის, სხვა გზით) ამომწურავი ჩამონათვალი (სია) და ასევე, ფონდის მიერ განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვებისა და სახელმწიფო ქონების პრივატიზების (ელექტრონული/საჯარო აუქციონების, პირდაპირი მიყიდვის, სხვა გზით) შესახებ ინფორმაცია.

- **საჯარო დაწესებულების საკადრო უზრუნველყოფა**

22. ვებ-გვერდზე არ არსებობს (ქვე-)განყოფილება სათაურად „ვაკანსიები“, სადაც განთავსდებოდა ვაკანსიათა არქივი, აგრეთვე საჯარო თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის შედეგები (ფონდის მიერ კანდიდატთა პერსონალური მონაცემების ვებ-გვერდზე განთავსების საფუძვლებზე (თანხმობის მიღება) მითითებით, საჯარო თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის პროცედურებისა და შედეგებთან დაკავშირებული პრეტენზიების წაყენების, მათი ადმინისტრაციული წარმოების გზით გასაჩივრების წესის აღწერა და ა.შ.

- **საჯარო დაწესებულების დაფინანსება და ხარჯთაღრიცხვა (ბიუჯეტი)**

23. ვებ-გვერდზე არ არის წარმოდგენილი ფონდის საქმიანობასთან დაკავშირებული ფინანსური ხასიათის შემდეგი ინფორმაცია:

- არ მოიძიება ფონდისათვის გამოყოფილი სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული ყოველწლიური ასიგნებების შესახებ ინფორმაცია;

- არ მოიძიება ფონდის ბიუჯეტში ასახული შემოსავლებისა და გასავლების / ბიუჯეტის შესრულების ბალანსისა და ბიუჯეტის ასიგნებების ხარჯვის შესახებ ზოგადი ინფორმაცია;

- არ მოიძიება საჯარო სამსახურებრივი უფლებამოსილების განმახორციელებელი თანამდებობის პირთა ჩამონათვალი და საშტატო ერთეულზე გათვალისწინებული ფინანსური განაკვეთების შესახებ ინფორმაცია;

- არ მოიძიება ფონდის სრული სისტემის თანამშრომლებზე გაცემული ხელფასების, დანამატების და დარიცხული პრემიების წლიური ოდენობების შესახებ ინფორმაცია; *(პროექტ **„საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის“ ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი**", შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისათვის მიმართული ოფიციალური წერილით მოთხოვნილ იქნა 2011 წლის პირველ კვარტალში (სამი თვე), ადმინისტრაციისა და სრული სისტემის თანამშრომლებზე გაცემული ხელფასებისა და პრემიების საერთო კვარტალური ოდენობების შესახებ ინფორმაცია, შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის პასუხი აღნიშნულ საკითხზე არასრულყოფილი იყო, რადგან წერილში არ იყო მოცემული ინფორმაცია პრემიების შესახებ, თუმცა ინფორმაცია ხელფასების შესახებ მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის ფონდის მიერ*

ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზეც განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ გმულზე: http://www.opendata.ge/pdf_files/rustavelisfondi_xelfasebi.pdf);

- არ მოიძიება უცხო სახელმწიფოთა მთავრობების, საერთაშორისო ორგანიზაციების, სხვა დონის სახელმწიფო ერთეულების მიერ ფონდისათვის გამოყოფილი ფინანსური დახმარების (გრანტები) ხარჯთაღრიცხვა.

შეფასება ვებ-გვერდის ელექტრონული კომპონენტის მიხედვით:




ვებ-გვერდის ელ-მმართველობის ხარისხი
ტექნიკური პარამეტრის არსებობა ვებ-გვერდზე
1. ნავიგაცია
66,67%
2. ძიება
20,00%
3. მარტივად აღქმის კრიტერიუმები
43,75%
4. საკონტაქტო ფორმები და წესები
0,00%
5. ვებ-კონტენტის ხელმისაწვდომობა
33,33%
6. ადაპტაცია მობილურ კავშირგაბმულობასთან WAP
0,00%
7. სინტაქსურად გამართული პროგრამული კოდი
52,63%
8. ინტეგრაცია სოციალურ ქსელებთან
14,29%
9. ელექტრონული ჩართულობა
33,33%
10. ელექტრონული სერვისები
9,09%
11. უნარშეზღუდული მომხმარებლებისთვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობა
0,00%
12. უსაფრთხოება
33,33%
13. დამატებითი მნიშვნელოვანი პარამეტრები
33,33%
0
0,1
0,2
0,3
0,4
0,5
0,6
0,7

- **ნავიგაცია**

ვებ-გვერდზე არსებობს ჩვეულებრივი და ორ-დონიანი მენიუ. ისინი ვიზუალურად ერთმანეთისგან არაფრით განსხვავდება, შესაბამისად მომხმარებელს არ აქვს წინასწარ ინფორმაცია თუ რომელ მენიუში არსებობს დამატებითი კატეგორიები:



ორ-დონიან მენიუს აუცილებლად უნდა ქონდეს მინიშნება, იმის შესახებ, რომ მას აქვს დამატებითი შიდა მენიუც;

- **ძიება**

ძიებას გადავყავართ გვერდზე, სადაც სათაურით: „ახალი ამბები“

შესაბამისად რთულია, ამ სათაურის გამო, იმის გარკვევა განხორციელდა თუ არა რეალურად ძიება ვებ-გვერდზე;

- **მარტივად აღქმის კრიტერიუმები**

ვებ-გვერდის ბანერებზე ტექსტი დაწერილია საკმაოდ პატარა შრიფტის ზომით, რაც ართულებს მის წაკითხვას:

- **ვებ-კონტენტის ხელმისაწვდომობა**

კატეგორია „ხშირად დასმული კითხვები“ ვებ-გვერდზე გამოიყენება იმისთვის, რომ მომხმარებელმა სწრაფად და მარტივად იპოვნოს მისთვის საინტერესო შეკითხვაზე პასუხი, თუმცა ამ შემთხვევაში აღნიშნულ განყოფილებაში გვხვდება საკონტაქტო ფორმა, რაც არასწორია:



ვებ-გვერდის არქივი არ მუშაობს, მასზე დაჭერით ვხვდებით იმავე გვერდზე რაზეც ვიყავით:

იმისთვის, რომ მომხმარებელი შეცდომაში არ შევიყვანოთ, სჯობს ეს კატეგორია საერთოდ გაუქმდეს ან შეივსოს შესაბამისი ინფორმაციით;

- **ინტეგრაცია სოციალურ ქსელებთან**

ვებ-გვერდზე არ მუშაობს Facebook-ის გაზიარების ფუნქცია და ღილაკი:



- **ონლაინ სერვისები**

ვებ-გვერდს აქვს სასარგებლო მოდული - სიახლეების გამოწერა, თუმცა ამ მოდულის ღილაკს აწერია „რეგისტრაცია“ და არა სიახლეების ან ინფორმაციის გამოწერა:



ასეთი პატარა ხარვეზები ხშირად იწვევს გაურკვევლობას;

- **დამატებითი პარამეტრები**

ვებ-გვერდზე არსებობს გვერდები, რომლებიც აბსოლიტურად ცარიელია. მსგავს ცარიელ გვერდებზე აუცილებლად უნდა დაეწეროს, რომ გვერდი მზადების პროცესში იმყოფება:



ვებ-გვერდზე არსებობს რეგისტრაციის მოდული, თუმცა ის ფუნქციონალურად ძალიან რთულად არის მოწყობილი, რადგან მის გავლას სჭირდება მინიმუმ 15 წუთი. მისი ბიჯების რაოდენობა შეგიძლიათ იხილოთ სურათზე:

ვებ-გვერდის ზოგადი შეფასება

ვებ-გვერდზე არსებული ფუნქციები არასრულად მუშაობს, მაგალითად ისეთი მოდული როგორც სოციალურ ქსელებში ინფორმაციის გაზიარება, კატეგორია „არქივი“ საერთოდ არ მუშაობს და სხვა. რაც შეეხება ელექტრონული რესურსის დიზაინს, იგი ძალიან მოძველებული ჩანს და არ შეესაბამება თანამედროვე სტანდარტებს. ზოგადად ვებ-გვერდი დასახვეწია და გასამართია მასზე არსებული ფუნქციები.